თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6527867

ნომერი: AR1972385

თარიღი : 15.06.2023

გაცემის თარიღი : 26.06.2023

გაცნობის თარიღი : 26.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N 99ვ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ორგანიზაცია:

- გურგენიძე არქიტექტურა კოდი: 405317697

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 15 ივნისს №AR1972385 განცხადებით მომართა ლელა გურგენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებით №72.16.33.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 1.1) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ფართებზე ფუნქციების მითითებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას. განმცხადებელი აგრეთვე ითხოვს, სარდაფის ფართობად 76.7 კვ.მ-ის ნაცვლად 95 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 10697.0 კვ.მ-ის ნაცვლად 10715.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა წარმოდგენილი -1 და 1 სართულის გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ აღნიშნული ნიშნულის გეგმებზე მდებარეობს სარდაფები, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე აღნიშნულ ფართობებზე დამხმარე სათავსოები იყო მითითებული. სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ -1 და 1 სართულის გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართების ფუნქციების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებაში და:

1.1 ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სარდაფის ფართობად დაფიქსირდეს 95 კვ.მ., საერთო ფართობად 10715.3 კვ.მ.

1.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 შეთანხმებული -1 და 1 სართულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე სართულების გეგმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 16 მაისის №6462958 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.